ნინო ერქომაიშვილი

ქართულენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
ლუდვიგშაფენის ბიზნესისა და საზოგადოებრივი უნივერსიტეტი, გერმანია

Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. ეს გამოცდილება არა მხოლოდ აკადემიური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, არამედ დიდი წვლილი შეიტანა ჩემს პიროვნულ ზრდაში. ცხოვრება და სწავლა ახალ გარემოში საოცრად საინტერესო აღმოჩნდა.

გერმანიაში სწავლის პერიოდში გავიღრმავე ცოდნა ბიზნესისა და ფინანსების სფეროში. მრავალფეროვანი, მულტიკულტურული გარემო საშუალებას მაძლევდა, თეორიული ცოდნა პრაქტიკაშიც გამომეყენებინა. თითოეული ლექტორი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით. ისინი პროცესს საინტერესოს და ინტერაქციულს ხდიდნენ ჯგუფური პროექტებითა და ინოვაციური სწავლების მიდგომებით. ამან საშუალება მომცა, გამეუმჯობესებინა კომუნიკაციის, გუნდური მუშობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარები.

უცხო ქვეყანაში მარტო ცხოვრება დამეხმარა პიროვნულ განვითრებაშიც. გავხდი უფრო დამოუკიდებელი, ადაპტირებადი და თავდაჯერებული ახალი გამოწვევების წინაშე. გარდა ამისა, შევიძინე ახლო მეგობრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, რომლებთან ერთად ხშირად ვმოგზაურობდი და ვეცნობოდი სხვადასხვა კულტურასა და ისტორიას. მათთან ერთად შევქმენი დაუვიწყარი მოგონებები, რომლებიც ყოველთვის მემახსოვრება.

კომფორტის ზონიდან გასვლამ, ახალი კულტურის შეცნობამ და ხანგრძლივი ურთიერთობების ჩამოყალიბებამ გამაძლიერა როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიულად. ერთი სემესტრით უცხოეთში სწავლა აღმოჩნდა დაუვიწყარი, თავგადასავლებით სავსე გამოცდილება და უნიკალური შესაძლებლობა.